ო ქ მ ი #5

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ.აშორდია, თ. დათუაშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, დ.კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ო. ჯოხაძე, (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე რ. გაჩეჩილაძე, ბიბლიოთეკის გამგე ლ. კოროშინაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დღევანდელი მდგომარეობა და ბიბლიოთეკის სამეცნიერო ლიტერატურის განთავსების შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს ვრცლად მოახსენა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და მასში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის წინადადება ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თსუ ბიბლიოთეკის შენობიდან ინსტიტუტის შენობაში გადმოტანის შესახებ მისი შემდგომი კატალოგიზებისა და გადარჩევის მიზნით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 1.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა მიმართოს წინადადებით თსუ ადმინისტრაციას, რათა აღმოგვიჩინოს დახმარება ბიბლიოთეკის სამეცნიერო ლიტერატურის გადმოზიდვასთან დაკავშირებით ინსტიტუტის შენობაში.

სხდომის თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი ო. ჯოხაძე